ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი №01-07/02

დაბა ქედა, **21 თებერვალი, 2024 წელი.**

სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 15:15 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდა:
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ნონა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლაშა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/02 ბიუროს სხდომა

21 თებერვალი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 თებერვლის №01-07/02 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;

4. შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2023 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 თებერვლის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 თებერვლის №01-07/02 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95240252, 25.01.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აქვე განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტზე 2024 წლის 26 იანვრიდან მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (განკარგულების რეგისტრაციის ნომერი: №გ-95.95240264, 26.01.2024 წელი.). დადგენილების პროექტი წინასწარი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში (წერილის ნომერი: №95-95240173, 17.01.2024 წელი.), საიდანაც მოვიდა საკონსულტაციო დასკვნა (წერილის ნომერი: №03-

95240303-95, 30.01.2024 წელი.), რომლის საფუძველზეც მთავრობის ადმინისტრაციას დადგენილების პროექტის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ ჰქონდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

2.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №12-95240441-95, 13.02.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე.

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის

სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95240433-95, 12.02.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე.

4.მოისმინეს: შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი"-ს 2023 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი"-ს 2023 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (წერილის ნომერი: №13-95240401-95, 09.02.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. .საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი"-ს დირექტორი სილოვან ბერიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე.

აზრი გამოთქვეს:

ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ განცხადება გააკეთა მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებული მეწყერული პროცესების შესახებ. სტიქიამ დააზარალა უამრავი ადამიანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამიტომ ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების გაკეთება იქნებოდა საჭირო, სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად, კრიზისის მართვისა და მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების გასათვალისწინებლად. ამიტომ იკითხა ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება თუ შემოდიოდა ახლო პერიოდში? აქვე სხდომის თავმჯდომარეს შეახსენა, რომ ფრაქციას მიმართვაც (წერილი ქსელში ფიქსირდება შემდეგი სარეგისტრაციო ნომრით: №95-95240501, 19.02.2024 წელი.) ჰქონდა მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, რადგან ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს მიერ მიმდინარე წლის 20 თებერვალს ჩანიშნული იყო ფრაქციის სხდომა, სადაც მოწვეული იყო მუნიციპალიტეტის მერი სტიქიის თემებთან დაკავშირებით. თუმცა დასწრება არ შედგა. ,,სტიქიიდან დაზღვეული არავინაა. კარგად ვხვდები, რომ ბიუჯეტში რესურსიც ჭირს გასაცემი კომპენსაციის ოდენობის თანხებისა, თორემ მე რომ ამას ვერ ვხვდებოდე და უპასუხისმგებლო ვიყო ვიტყოდი საცხოვრებლად გასაცემი კომპენსაციის თანხა 50000 ლარი, ორჯერ/სამჯერ გაუზარდეთ მოსახლეობას. კარგად ვხედავ/ვხვდები, რომ თვითონ ხელისუფლება, სახელწიფო და ხალხიც ცუდ მდგომარეობაშია. სწორედ ამიტომ ფრაქციის სხდომაზე პოლიტიკა პოლიტიკის ადგილზე. შექმნილ სიტუაციაზე ყველას გული გვტკივა, ჩვენ სტიქიით დაზარალებულ ოჯახებშიც ვიყავით მისული, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. სწორედ ამიტომ გვინდოდა, რომ იმ ერთ დღეს პოლიტიკა გვერდზე გადაგვედო და მართლა გულწრფელად გვემსჯელა. შეიძლება კარგი იდეა მაქვს, ან ცუდი და თქვენ გაქვთ უფრო კარგი იდეა. მე მართლა არ ვიცი რა ღონისძიებებია ჯერჯერობით დაგეგმილი, ვიღაცამ რომ შეკითხვა დამისვას ნამდვილად არ ვიცი ოფიციალურად რამდენი ოჯახია დაზარალებული ჩვენს მუნიციპალიტეტში. კარგია, როცა სახელმწიფო ეხმარება მოქალაქეს. საცხოვრებელი ფართის ქირის 350 ლარი ცოტაა და რომ გავზარდოთ ეს თანხა, ამასაც ხომ ფიქრი უნდა რა რესურსით? ესეც პრობლემაა დღეს. აი, ამიტომ გვინდა, რომ რაღაც საქმიან ფორმატში დავმსხდარიყავით და იდეები გაგვეზიარებინა. გულისტკივილი გაქვთ თქვენ, გულისტკივილი გვაქვს ჩვენც და ყველას გვინდა რა სურათიც დადგა/გვქონდა როგორმე რამდენადაც შესაძლებელი იქნება გამოსწორდეს. მაგალითად, სოფელ ახოში სკვერის მოწყობა იგეგმება ხომ?! თუმცა სოფელი დღეს შეიძლება ისეთ მდგომარეობაში იყოს სკვერი საერთოდ აღარ უნდოდეთ, რადგან სოფელი ახლა შეიძლება სხვა გამოწვევის წინაშე იდგეს. ამიტომ გვინდოდა და ახლაც გვინდა მუნიციპალიტეტის მერთან, მოადგილესთან ან სხვა, რომელიმე მერიის შესაბამის წარმომადგენელთან შეხვედრა სამუშაო გარემოში სტიქიურ თემებთან დაკავშირებით. თუ რაიმე ამაში ცუდია, ან არასწორი მიდგომა მაქვს მითხარით, მოგისმენთ "- განაცხადა დავით სირაბიძემ.

თემასთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ უპასუხა, რომ სტიქიით დაზარალებულთა დათვლა ამჟამადაც გრძელდებოდა. ამიტომ ჯერ სანამ დაზარალებულთა საბოლოო რაოდენობა არ ექნებოდათ ბუნებრივია შესაბამისი კორექტირება ვერ მოხდებოდა. მისი ინფორმაციით ამჟამად 119 ოჯახია დათვლილი/შესწავლილი, რომელ რაოდენობასაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო დამატებოდა. ამიტომ ჯერ საბოლოოდ უნდა მოხდეს დათვლა/შესწავლა, თორემ ამირან ცინცაძე მზაობას გამოთქვამდა: ,,ამის შემდეგ დავსხდეთ, დავილაპარაკოთ სტიქიით დაზარალებულთა პრობლემებზე, ჩვენ ხალხისთვის გვინდა ყველაფერი და ვიბრძვით, რომ მშვიდი და უსაფრთხო გარემო შევუქმნათ. ამიტომ მათ

გვერდით დაუდგება სახელმწიფო, ხელისუფლება და მაქსიმალურს გავაკეთებთ ყველა ერთად. რაც შეეხება, ქირით გაყვანის თანხას, 350 ლარის გაზრდა იგეგმება და აუცილებლად გაიზრდება, ხოლო 50000-იან თანხას რაც შეეხება, არ ვიცი, ამ ეტაპზე ბიუჯეტი მეტს ვერ გაწვდება და გაზრდაზე ჯერ არ არის საუბარი".

თემასთან დაკავშირებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ განაცხადა, რომ 119 დაზარალებული, ახლანდელი ციფრი იყო, თორემ მუნიციპალიტეტს მანამდეც 115 ოჯახი ჰყავდა დაზარალებულთა სიაში. მისი თქმით, უამრავ სოფელში რთული მდგომარეობაა, გაუთვალისწინებელი ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტს, ამიტომ საბოლოოდ უნდა დასრულდეს დაზარალებულთა დათვლის პროცესი, რომ სხვა დანარჩენ პროცესებზე მოხდეს მსჯელობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რეზო თურმანიძემ აღნიშნა, რომ ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ინფრასტრუქტურული პროცესი გაჩერებული იყო. სანამ დაზარალებულთა სიტუაცია საბოლოოდ არ გაირკვეოდა და არ მოხდებოდა სრული შესწავლა სად რა მდგომარეობა იყო. რადგან შესაძლებელია რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი ავტომატურად ამოვარდეს მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კვლავ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომამდე ანუ 2-3 დღეში ეცოდინებოდათ საბოლოოდ ზარალი რა რაოდენობისა იყო და რა ღონისძიებები იგეგმებოდა სტიქიით დაზარალებულთათვის. რა ოდენობით დაეხმარებოდა ცენტრალური ხელისუფლება მუნიციპალიტეტს და შემდეგ ადგილობრივ ბიუჯეტში იქნებოდა ცვლილება დასაგეგმი, გამოინახებოდა შესაბამისი რესურსი და მოხდებოდა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის კორექტირება.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 თებერვლის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

2.ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3.ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის,

ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და
ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

4.შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-ს 2023 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-ს
დირექტორი: სილოვან ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 თებერვლის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და **ნონა ბერიძე**
საორგანიზაციო განყოფილების პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
საქმისწარმოების საკითხებში